თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2025 წლის 30 მაისის სხდომის

ო ქ მ ი N 4

2025 წლის 30 მაისს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ვალერიან ვაშაკიძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, ხათუნა იოსელიანი, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისიის შექმნა;**
2. **თსუ-ს ბიბლიოგრაფიულ ენციკლოპედიაზე მუშაობა;**
3. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისიის შექმნა.

ლავრენტი ჯანიაშვილმა სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა უფროსი მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისიის წევრთა კანდიდატურები:

გიორგი ჭეიშვილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი; ინსტიტუტის დირექტორი;

ავთანდილ სონღულაშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი;

ქეთევან ხუციშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

როლანდ თოფჩიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

ლიანა ბითაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ლიანა ბითაძემ, ქეთევან ხუციშვილმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა, ალექსანდრე დაუშვილმა და სხვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

ლავრენტი ჯანიაშვილმა კომისიის თავმჯდომარედ წამოაყენა გიორგი ჭეიშვილის კანდიდატურა; კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ავთანდილ სონღულაშვილის კანდიდატურა; კომისიის მდივნად - ლიანა ბითაძის კანდიდატურა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 12 წინააღმდეგი - 0 თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას გიორგი ჭეიშვილი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ - ავთანდილ სონღულაშვილი, კომისიის მდივნად - ლიანა ბითაძე.

2. *თსუ-ს ბიბლიოგრაფიულ ენციკლოპედიაზე მუშაობა.*

გიორგი ჭეიშვილი: თსუ-ში დაიწყო ბიბლიოგრაფიულ ენციკლოპედიაზე მუშაობა, შეიქმნა სარედაქციო კოლეგია. ამ პროცესში ჩვენი ინსტიტუტიდან ჩართულია შალვა გლოველი. პირველ ეტაპზე სარედაქციო კოლეგია ითხოვს სიტყვანს (სტატიის ავტორის მითითებით), რომელშიც უნდა შევიდეს: 1. ყველა მეცნიერი თანამშრომელი, რომელიც მუშაობდა/მუშაობს ინსტიტუტში თსუ-სთან შეერთების დროიდან (2011 წლიდან), სპეციალობის მითითებით; 2. ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამეცნიერო და არასამეცნიერო); 3. ყველა სტრუქტურული ერთეული (სამეცნიერო და

არასამეცნიერო); 4. ყველა საერთაშორისო ღონისძიება; 5. ყველა პერიოდული გამოცემა; 6. თანამშრომლები რომლებიც გახდნენ მწერალთა კავშირის წევრები, დამსახურებული წოდების მქონე ხელოვანები, სპორტული ჩემპიონები, მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირები (ქვეყნის მეთაური, მინისტრი, მინისტრის მოადგილე, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი, ელჩი), საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლის ან სამეცნიერო ცენტრის პროფესორი/მეცნიერი თანამშრომელი, საპატიო დოქტორი, საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ჯილდოს/პრემიის ლაურეატი. თსუ-სთვის ინფორმაციის მიწოდების საბოლოო ვადად განსაზღვრულია 10 ივნისი. განყოფილებების ხელმძღვანელებს გთხოვთ, გააცნოთ თქვენ თანამშრომლებს წარმოდგენილი ინფორმაცია; დროულად მოიძიოთ და მოგვაწოდოთ სიები თსუ-ში გასაგზავნად.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** ქეთევან ხუციშვილმა, სალომე ოქრუაშვილმა, ნიკლოზ ჯავახიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა და სხვა.

3. ***მიმდინარე საკითხები:***

გიორგი ჭეიშვილი: თსუ-დან შემოვიდა მოქალაქე ა. კახნიაშვილის წერილი, რომელშიც ის ითხოვს ისტორიკოსებთან შეხვედრას და უნივერსიტეტის მხარდაჭერას, რომ წინადადებით მიემართოს პარლამენტს, რათა შეიცვალოს სახელმწიფოს არსებული დროშა, გერბი და ჰიმნი. მსგავსი ხასიათის წერლი მას 2019 წელს უკვე გაგზავნილი აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჭეიშვილმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ და სხვა.

გამოითქვა მოსაზრებები, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არის არაერთი სამეცნიერო ლიტერატურა, არსებობს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტი და უმჯობესია, საკითხი განიხილოს კომპეტენტურმა ორგანოებმა. ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ დირექტორის სახელით თსუ-ში გაიგზავნოს წერილი, რომელშიც აღნიშნული იქნება: ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო თვლის, რომ არ არსებობს არავითარი სამეცნიერო საფუძველი შეიცვალოს სახელმწიფოს დროშა, გერბი და ჰიმნი.

ავთანდილ სონღულაშვილი: მომავალ წელს სრულდება იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ შექმნიდან 150 წლისთავი. კარგი იქნება ამ თარიღს მიეძღვნას ერთდღიანი სამეცნიერო კონფერენცია.

გიორგი ჭეიშვილი: მომავალ წელს არის ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი და ასევე, მალხაზ აბდუშელიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი.

სასურველია, ამ საიუბილეო თარიღებსაც მიეძღვნას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი: მიმდინარე წელს, 2 სექტემბერს სრულდება მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან და იაპონიის კაპიტულაციიდან 80 წელი. კარგი იქნება ჩატარდეს თემატური კონფერენცია აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით. შესაძლოა, პროექტის წარდგენა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საკონფერენციო საგრანტო კონკურსზე, ან აღნიშნულ თარიღს მიეძღვნას ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების კრებულის მორიგი ნომერი.

სხდომამ დაადგინა:

1. შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი ჭეიშვილი – კომისიის თავმჯდომარე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი, ინსტიტუტის დირექტორი;

ავთანდილ სონღულაშვილი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

ლიანა ბითაძე - კომისიის მდივანი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

ქეთევან ხუციშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

როლანდ თოფჩიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

და ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შემდგომი მსვლელობისათვის.

2. ბ-ნ ა. კახნიაშვილის პასუხად, დირექტორის სახელით გაიგზავნოს თსუ-ში წერილი: ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო თვლის, რომ არ არსებობს არავითარი სამეცნიერო საფუძველი შეიცვალოს სახელმწიფოს დროშა, გერბი და ჰიმნი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

30. 05. 2025

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2025 წლის 30 მაისის სხდომას ესწრებოდნენ მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ ხონდულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- ვალერიან ვაშაკიძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი